

2010 წლის იანვრის ინფლაცია საქართველოში

2010 წლის იანვარში 2009 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 101,1 პროცენტი შეადგინა. შედარებისათვის, 2009 წლის იანვარში ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 101,4 პროცენტს, ხოლო 2008 წელს – 102,5 პროცენტს.

2010 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით 1,1 პროცენტიანი ინფლაცია ძირითადად განაპირობა სურსათზე სამომხმარებლო ფასების ზრდამ 2,2 პროცენტით, ხოლო ალკოჰოლურ სასმელებზე და თამბაქოზე – 3,3 პროცენტით.

თორმეტთვიან პერიოდში (2010 წლის იანვარი 2009 წლის იანვართან) სამომხმარებლო ფასების ინდექსმა შეადგინა 102,7 პროცენტი.